

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 27 დეკემბრის

დადგენილება №2669

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი

სტუდენტებისათვის სწავლების ხელშეწყობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2017 წლის 21 სექტემბრის №17 00737702 წერილისა და სტუდენტთა წარმომადგენლების შუამდგომლობის საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯავრდებული სტუდენტები გადაყვანილ იქნენ სწავლების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე:
 - თამაზ დუდუჩავა (პ.ნ. 40001029449), ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა „მათემატიკა“;
 - თამაზ ცირდილაძე (პ.ნ. 01030052049), ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგეტიკა“;
 - გიორგი ხმელიძე პ.ნ. (33001030144), ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა „გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება“.
2. ამ დადგენილების პირველ პუნქტში მითითებულ სტუდენტებს მიეცეთ საგანმანათლებლო პროგრამიდან იმ სასწავლო კურსის, საგნის გავლის უფლება, რომელიც არ მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და რომლის სწავლა შესაძლებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოწყობილი ინფრასტრუქტურის პირობებში;
3. შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური მუშაკებისათვის ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასწავლო კურსების, საგნების

სილაბუსების, ლიტერატურის, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მიწოდება;

4. სტუდენტისთვის შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასება მოხდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური მუშაკების მიერ გადმოცემული ნაშრომების საფუძველზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე